ხობის მოამბე

№3 (7098) 18 აპრილი,
ოთხშაბათი, 2018 წელი.
ფასი 0,70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უძველესი ფაძაცვლია საქართველოს ყოველდღიურობის საფარველისა. საკა უნდა ვდაფუძნოთ, ეგი ყველგეგან ხელოვნურს... ყოველი საზოგადოებრივი, რიგიანს ტუსაღი ცოდვათ თუ ფეიფაცდ ვდაძვეგანი, ხარვეზი-ხარვეზიანად ანის ვდაყოფილია, ისინ ეგენია ვდა ანგარიშებაა აკეთებელი იყოს.“

„დაინთქა სიკვდილი ძლევითა!“

სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორისა

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერმონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

მენელსაცხებლე დედებთან და მაცხოვრის მოწაფეებთან ერთად საფლავის ლოდსა ზედა მჯდომარე ანგელოზი ჩვენც გვამცნობს, რომ ჯვარცმული ღმერთი საფლავში აღარ არის,

ქრისტე აღდგა!

აღდგა ღმერთი, უძლურთა ძლიერებაი, მდაბალთა აღმაღლებაი, მოკვდავთა უკვდავებაი.

„სად არიან დამბეჭდველნი საფლავისანი? სად არის დასი პილატესი და მხედარნი, რომელნიც სცვიდენ აკლდამასა?“

„სადა არის, სიკვდილო, საწერტელი შენი, სად არის, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“

„მოვედით, ერნო, ვადიდებდეთ სამებასა ყოვლადწმიდასა და ვმადლობდეთ აღდგომილსა მხოლოდშობილსა ძესა და სიტყვასა.“

„ქებაი შენდა ქრისტე, ქებაი შენდა და დიდებაი მოსვლასა შენსა, დიდებაი ჯვარცმასა შენსა, დაფვლასა და აღდგომასა.“

დღეს ტარიგი უფლისა საზეპურო სუფრაზე გვიხმობს და არა აქვს გარჩევა მდიდრისა და გლახაკისა, უბირისა და განსწავლულისა, ყრმისა და ხანდაზმულისა; ტრაპეზი გაშლილია და ლხინი განმზადებული.

მიწვეულია ყველა, ვინც გააცნობიერა ამქვეყნიური ცხოვრების აზრი, ვინც მადლიერებით მიიღო იესოს გამომხსნელობითი ღვაწლი და ნათლობით ქრისტესთან შეერთებულს სურს, მასთან ერთად აღდგომა;

მათ კი, რომელთაც ჯერ არ გაუაზრებიათ მომხდარის სიღრმე და თავისი ამქვეყნიური მისია, მოკლედ შევახსენებთ შემდეგს:

ბიბლია გვასწავლის, რომ დედამიწაც და მთელი სამყაროც უფლის დიდების გამოვლინებაა. ღვთის ხატად და მსგავსად შეიქმნენ ჩვენი პირველმშობლები და ხილული ქვეყნის პატრონად და განმგებლებად დადგინდნენ; მათი სრულქმნა დღეყოველ წარემართებოდა და სულიერ კიბეზე ზესვლა ხორციელდებოდა.

ამასთან, ადამსა და ევას მიეცათ კურთხევა, რომ გამრავლებულიყვნენ და მოეცვათ ქვეყანა.

2-3

დღევანდელი ქართველობა ბედნიერ საქართველოს უნდა მოვესწროთ!

ბიძინა ივანიშვილი მიმართავს ამომრჩეველს

მართალი გითხრათ, ბევრი ვიფიქრე, დამეწერა თუ არა ეს მიმართვა, ჩემს ოჯახსაც მოვეთათბირე და მეგობრებსაც, ღირდა თუ არა მაინცდამაინც ამ დღეებში დავლაპარაკებოდი ჩვენს ხალხს და გულახდილად, გულწრფელად მეთქვა მთელი ჩემი გულისნადები.

მარტო ახლა კი არა, ბევრი, როგორც იტყვიან, მტერ-მოყვარე ადრეც მეუბნებოდა, იყავი შენთვის წყნარად, მხართეძოზე წამოწოლილმა გაატარე უზრუნველად შენი წილი ეს ხანმოკლე წუთისოფელიო. რა აუტკივარ თავს იტკივებო, ბოლოს მაინც უმადურობასა და დაუნახაობას წააწყდები და გულნატკენი დარჩებიო. იქნებ ამ რჩევაში რაღაც სიმართლის მარცვალი ურევია კიდეც, მაგრამ ჩემი ქვეყნის და ჩემი ხალხის ბედიღბლისგან განკერძოებით ცხოვრება ჩემთვის არა მარტო წარმოუდგენელია, არამედ, მიუღებელიც არის.

ვინც რა უნდა თქვას, მე მაინც ჩემი გულისხმას ვუგდებ ყურს, ჩემი გულის კარნახით ვწერ ამ მიმართვასაც, ჩემი გული კი, როგორც ეს ერთხელ უკვე ითქვა ერთი ცნობილი მამულიშვილისგან, ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს ეკუთვნის, შევეცდები, რომ სიტყვა არ გავიგრძელო, მოკლედ და გასაგებად ვთქვა ჩემი სათქმელი, რაც კარგა ხანია, დამიგროვდა.

3

9 აპრილის ტრაგედიიდან 29 წელი გავიდა...

9 აპრილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღეა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, 1989 წლის 9 აპრილს სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებულთა მემორიალი ყვავილებით შეამკო; ხოლო საერო სკოლა „არეას“ მოსწავლეებმა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს.

საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის ხსოვნას და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, „ნათია ბაშალეიშვილის სახელობის წყარო“ ყვავილებით შეამკეს.

1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა არმიამ, რუსთაველის გამზირზე დაარბია საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი დემონსტრაცია. მშვიდობიანი დემონსტარანტების წინააღმდეგ გამოიყენეს ქიმიური საშუალებები, სასანგრე ბარები და ტანკები. დაიღუპა 21 ადამიანი, მოიწამლა და დაშავდა აქციის ბევრი მონაწილე.

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. 9 აპრილს აღდგა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

14 აპრილი–დედაენის დღე

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ქალაქ ხობის N1 და N2 საჯარო სკოლების და საერო სკოლა „არეას“ მოსწავლეებმა ლიტერატურული კომპოზიცია–„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“ წარმოადგინეს; ხოლო, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში დოკუმენტური ფილმის– „ჩვენი ენა ქართული“ ჩვენება გაიმართა.

დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **როზეტა შულაია** და ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი **ბეჟან ბერაია** ესწრებოდნენ.

„დაინთქა სიკვდილი ძლევითა“

სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორისა

1

ამით დაეკისრათ პასუხისმგებლობა, შთამომავალნიც აღეზარდათ ღვთისადმი რწმენით და სულისკვეთებით, რომ ზედმიწევნით აღესრულებინათ უფლისგან მიცემული აკრძალვა არ ეგემათ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი, რათა სრული ჰარმონია ყოფილიყო შემოქმედსა და ქმნილებას შორის.

ღმერთი სიყვარულია და სამყაროშიც ეს გრძნობა სუფევდა. ამიტომაც, დაცემამდელი ადამიანების მდგომარეობა იყო სიყვარულით, სიხარულით, ღვთისა და ერთმანეთისადმი მსახურებით აღსავსე სიცოცხლე.

მაგრამ ეს ნეტარებითი ცხოვრება დასრულდა. დასრულდა იგი მას შემდეგ, როცა ადამმა და ევამ აღარ შეასრულეს მიცემული მცნება, ერწმუნენ შურით აღძრულ ბოროტ ძალას და მისი რჩევისამებრ მოიქცნენ.

ასეთმა ქმედებამ ისინი ღვთის მადლს განაშორა, გამოიწვია მათი ხორციელი და სულიერი სიკვდილი და ეს მდგომარეობა შთამომავლებსაც მემკვიდრეობით გადაეცათ.

დაცემა მოხდა იმიტომ, რომ ადამმა და ევამ, გველის შეგონებით, მოინდომეს, ღვთის გარეშე გამხდარიყვნენ უფრო დამოუკიდებელნი და შემოქმედს გატოლებოდნენ. არადა, ბოროტმა შესაქმის გვირგვინს სიცრუითა და მზაკვრობით სწორედ თავისუფალება წაართვა და ცოდვას დაამონა. ამის გამო განეძარცვათ მათ ცხოველსმყოფელი მადლი ღმერთშემოსილობისა, საღვთო სიკეთეთა სულიერი ხედვის უნარი, სულიერი უმანკოება და უვნებობა ეგოისტური ზრახვებითა და ვნებებით შეეცვალათ და მწუხარება და განსაცდელი თანამგზავრად ექცათ.

ღვთისგან გაუცხოებულმა ცხოვრების წესმა სხვადასხვა ეპოქასა და სივრცეში სხვადასხვა გამოვლინება ჰპოვა. ჩვენს დროში კი განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

ყველგან თვალშისაცემია ტრადიციულ ღირებულებათა მოსპობის, პატრიოტული სულისკვეთების დაკნინების, ეროვნული მეობის გაქრობის ტენდენცია დიდია მცდელობა ზოგიერთი მძიმე ცოდვის ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადებისა, მასმედიითაც, ნებსით თუ უნებლიედ, ხშირად ხელი ეწყობა აგრესიისა და უზნეობის, ნარკომანიისა და აზარტული თამაშების პროპაგანდას; ბილწსიტყვაობა, ტყუილი, ცინიზმი, საჯარო შეურაცხყოფა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა;

გაჩნდა გრძნობა დაუცველობისა და ხვალინდელი დღის შიშისა, სულიერი სიცარიელის ფონზე ახალგაზრდებში გახშირდა თვითმკვლელობა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მოქმედებენ გარკვეული ჯგუფები, რომელნიც მოზარდებს სხვადასხვა სახით აიძულებენ, სიცოცხლე ამ სახით დაამთავრონ. დაეცა განათლების დონე, მოზარდი თაობა ინტერნეტს მიეჯაჭვა და წიგნი დაივიწყა. დაიკარგა უფროსის პატივისცემა, ებრძვიან ავტორიტეტებს, ქმნიან ახალი ღირებულებების შესაბამის პერსონებს და მათ წარმოაჩენენ მისაბაძად.

ამ მოვლენებს მეტ-ნაკლებად საქართველოშიც აქვს ადგილი. ჩვენთან დიდია უმუშევართა, სოციალურად დაუცველთა და უცხოეთში სამუშაოდ წასულთა რიცხვი; იცლება სოფლები და რაიონები; დამაფიქრებელია ხალხის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სტრესული მდგომარეობა და მდარე პროდუქტებით კვება იწვევს.

შემოტევაა ეკლესიაზე და მრავალწლიანი მცდელობა, შეურყიონ ხალხს მისდამი სიყვარული. მავანნი შეურაცხყოფენ სიწმინდეებს, რელიგიურ გრძნობებს და განუკითხაობით ხარობენ.

ყურადღება მინდა, შევაჩერო დემოგრაფიულ საკითხზე.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოკლე დროში ნავარაუდევია მოსახლეობის 28 პროცენტით კლება, რაც ისედაც მცირერიცხოვანი ჩვენი ერისთვის უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება.

ამ საგანგაშო მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც გამოსწორებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია აბორტის, როგორც უმძიმესი ცოდვის, საწინააღმდეგო განწყობის შექმნა და პირველ ეტაპზე, მრავალშვილიანი ოჯახების გარკვეული ნაწილისთვის ცალკე კანონის შემუშავება, რათა მათ დასახმარებლად ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას.

უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ჩვენს ხალხზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მსგავს, და ზოგ შემთხვევაში, უარეს მდგომარეობაში მყოფი, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეები. ვგულისხმობ, მაგალითად, აფხაზებს, უდინებს, ქისტებს, ჩერქეზებს, ოსებს, ასირიელებს, ლეკებს და სხვათ.

კარგი იქნება, ქვეყანამ განსაკუთრებული პირობები შეუქმნას როგორც ქართველ, ისე ამ ეთნიკური წარმომავლობის იმ ოჯახებს, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ და გაუწიოს მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება, რაც უნდა მატულობდეს შვილთა რაოდენობის ზრდის მიხედვით. ოჯახებმა უნდა იგრძნონ, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე და მადლიერია მათი თავდადებისა.

ხოლო როდესაც საქართველო ეკონომიურად გაძლიერდება, შეღავათები უნდა გავრცელდეს საერთოდ ყველა მრავალშვილიანზე.

ზემოთქმულზე, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში მომუშავეთ, მასმედიასა და ეკლესიას, განსაკუთრებით კი–კანონმდებელთ.

მინდა, მივმართო საქართველოს მოსახლეობას, ჩვენს გაუტეხელ, ქრისტესმოყვარე ერს: არ შეუშინდეთ დროის გამოწვევებს, თავს დატეხილ განსაცდელთ, პრობლემათა სიმრავლეს.

ჩვენ მაცხოვრის ეკლესიის წევრნი ვართ და ისეთი ბედნიერება გვაქვს მონიჭებული, რომ ვერავითარი გარემო პირობები ამ სიხარულს ვერ დაჩრდილავს.

რა სიხარულია ეს?

ეს არის სიხარული, უპირველეს ყოვლისა იმისა, რომ ჩვენ გამოხსნილნი ვართ! მოხდა სასწაული, რომელსაც ათასობით წლის მანძილზე ელოდებოდა ადამის მოდგმა და ეს სწორედ დღევანდელ დღეს განხორციელდა.

სიხარული გვაქვს იმისა, რომ ვინც ქრისტეს სახელით ჭეშმარიტ ეკლესიაში ინათლება, ღვთისგან, როგორც საბოძვარს იღებს სულიწმინდის მადლს, უფალთან ერთობას და ისეთ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც აღმოფხვრილია ადამისეული ცოდვის ის ფესვი, მთელი თაობები სიკვდილს რომ დაუქვემდებარა.

სიხარული გვაქვს იმისა, რომ ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ღვთის შემწეობით და ჩვენი ძალისხმევით მოვიპოვოთ ის მდგომარეობა, რისთვისაც სამოთხეში მყოფ ჩვენს პირველმშობლებს უნდა მიეღწიათ.

იესომ ახალ ერს, ბოროტების ძირისგან თავისუფალ ახალ კაცობრიობას, დაუდო სათავე და ამიტომაც იწოდება მეორე ადამად; პირველი ადამისგან სიკვდილი შემოვიდა, მეორესგან კი–სიცოცხლე. „და როგორც ადამში კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა.“

მაგრამ ჩვენი ცხონებისთვის–ფიზიკური და სულიერი სიკვდილისაგან გათავისუფლებისთვის ქრისტიანად გახდომა არ არის საკმარისი, რადგან მაცხოვარმა ზოგადად ამიანური ბუნება გამოიხსნა და, როგორც სამოთხეში, ახლაც კვლავ თავისუფალი არჩევანი შემოგვთავაზა.

ჩვენი გადასაწყვეტია, რას მოვინდომებთ, ისევ ცოდვებს დამონებულ ყოფას, თუ ცხოვრების იმ წესს, რომლის მაგალითიც ამ ქვეყნად ღმერთმა მოგვცა.

სოფელი ბოროტსა ზედა დგას და, ბუნებრივია, ადვილად არ დათმობს ადამიანებს. ამიტომაც მორწმუნეთ სერიოზული წინააღმდეგობების დაძლევა უხდებათ და ყოველდღიური ბრძოლა საბოლოო გამარჯვებისთვის;

არსებული ყოფა არის ასპარეზი ჩვენი პიროვნების წარმოსაჩენად და რამდენადაც ეს გარემო დაშორებული იქნება ქრისტიანულ ღირებულებებს, იმდენად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება მიზნის მისაღწევად, თუმცა საზღაური, შესაბამისივე იქნება ცათა შინა.

ჩვენს ყოველ მოქმედებას უდიდესი დატვირთვა აქვს, რადგან იმქვეყნად კარგიც და ცუდი საქმეებიც სხვა მასშტაბით გამოვლინდება და ჩვენს იქაურ შესაძლებლობებს განაპირობებს.

მორწმუნე გაჭირვების ჟამს ხშირად სთხოვს დახმარებას წმინდანებს, ანგელოზებს, ღვთისმშობელს.

გავიხსენოთ, მაგალითად, წმინდა გიორგი და წმინდა ნიკოლოზი; ერთმა დიდმოწამეობით დაამოწმა ქრისტეს სიყვარული და მისი მცნებების ერთგულება, მეორემ კი–საკვირველი ღვთის სათნო ცხოვრებით; ისინი კონკრეტულ ადგილას და კონკრეტულ დროში მოღვაწეობდნენ, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ ყველა გულმხურვალე მლოცველის შემწე და მფარველნი გახდნენ ყველა ეპოქაში.

აღარაფერს ვამბობთ მოციქულებზე და ღვთისმშობელზე.

ასეთი საოცარი პოტენციალია ჩადებული თითოეულ ჩვენგანში!

და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ხარისხობრივად, რა მდგომარეობას განვიკუთვნებთ ზეცაში ან ქვესკნელში.

როგორია ჩვენი გული და გონება? როგორ ნიადაგს დაახვედრებს იგი ღვთის სიტყვას? ნარეკლიანს? სადაც ვერაფერი გაიხარებს. კლდოვანს? სადაც აღმოცენებული ნერგი მალე გახმება, თუ ნოყიერ მიწას, დიდი ხეც რომ ადვილად გაიდგამს ფესვს?

უფლის სამეფო არის ჭეშმარიტი რწმენითა და სიყვარულით გაერთიანებულ პიროვნებათა კრებული, რომელიც ცხოვრობს ურთიერთსიყვარულითა და ურთიერთმსახურებით, იმ წესით, დაცემამდელ ადამიანებს რომ ჰქონდათ და შემდეგ ჯვარცმულმა იესომ აღვიდგინა.

უფლის სამეფო არის იქ, სადაც მორწმუნენი სათნოებებით არიან შემოსილნი, ღვთის დიდებასა და მასთან ერთობას ესწრაფვიან და შთამომავლობასაც ამ პრინციპით ზრდიან.

უფლის სამეფო არის იქ, სადაც, თუნდაც დიდი შეცდომების მიუხედავად, დიდი სინანულია, სადაც მუდმივი ხსოვნაა ზეციური სასუფევლისა.

უფლის სამეფო დედამიწაზე ქრისტეს ეკლესიაა და აქ უხმობს იგი გადარჩენის ყოველ მსურველს.

ამ წიაღის განუყოფელ ნაწილად გახდომა უნდა იყოს ჩვენი უმთავრესი მიზანი და ამოცანა.

გავიხსენოთ როგორ გვარიგებს ძე ღვთისა: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართელესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.“

მისგან ნასწავლებ ლოცვაშიც, ვამბობთ: “მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.“

ვამბობთ ამას იმიტომ, რომ ჩვენი მოვალეობაა, ზეციური მეუფების ცხოვრების წესის დამკვიდრება ჩვენშიც და ჩვენს გარემოშიც და არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორ სახელმწიფო წყობასა და რომელ ეპოქაში მოგვიწევს არსებობა. ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს საზოგადოების მოწყობის ისეთი წესები, რაც ცათა სასუფეველთან არ დაგვაპირისპირებს.

თუ ჩვენ მკვეთრ წინააღმდეგობაში მოვდივართ შემოთავაზებულ ურთიერთობებთან და კანონებთან, ჩვენი პროტესტი უნდა იყოს მკაფიო, მაგრამ ღირსეული, რომ არ დავაზარალოთ იდეა, რასაც ვიცავთ, არ დავაზიანოთ სხვისი და საკუთარი სული.

სიყვარულია რისი აღსრულებაც ამქვეყნად გვევალება. ქმედითი, ცოცხალი, ნამდვილი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა.

როგორ შეიძლება ეს გამოვლინდეს?

–ქრისტეს სახელით მოყვასისადმი მსახურებაში.

ამიტომაც ბრძანებს იგი: „მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა.“

სიყვარული არის საკუთარი ინტერესების ნებაყოფილობითი დათმობა, თავის უარყოფა იმისთვის, ვინც გვიყვარს.

მაგალითად, მშობელი ყველაფერს აკეთებს შვილისთვის და ეს მას სიხარულს ანიჭებს, რადგან უყვარს, ვისთვისაც იღვწის და შვილსაც უყვარს რა მშობელი, მთელი გულით ცდილობს, ასიამოვნოს მას.

უფრო მეტი სიძლიერით უნდა გვიყვარდეს უფალი, რომ მისი ღირსეული შვილები ვიყოთ.

ქრისტიანობა არის ერთადერთი რელიგია, სადაც მხოლოდ ადამიანები კი არ ემსახურებიან ღმერთს, არამედ თავად ღმერთი გვიჩვენებს კაცთათვის მსახურების, სიყვარულისა და თავგანწირვის საოცარ მაგალითს და ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც მეფე-მსახური.

ქრისტე–მეფე-მსახური უნდა იყოს ნიშან-სვეტი ყოველი ქრისტიანისთვის!

საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა თანამდებობრივად ან ქონებრივად, თუნდაც გავლენით, რას წარმოვადგენთ. ყოველ ჩვენგანს, ნებისმიერი სოციალური მდგომარეობის მქონეს, უნდა ქონდეს განცდა იმისა, რომ მაცხოვრის მსგავსად, თვითონაც იყოს მეფე-მსახური.

შენ ხარ მეფე იმდენად, რამდენადაც გაქვს უფლება, რომ შენი ცხოვრება თავისუფალი ნებით წარმართო და ღვთისგანვე შენთვის ბოძებული ყველა სხვა ნიჭი და უნარი ამ არჩევანის მიხედვით გამოიყენო.

ამიტომაც, მეფე შეიძლება იყოს ბევრი, მაგრამ მეფე-მსახური–მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი.

თუ არ ვცხოვრობთ მცნებებით, არა ვართ სათნოებებით შემოსილნი და სხვისი მსახურება თუ არ არის ჩვენი სურვილი, მეფე-მსახურნი, ანუ ჭეშმარიტი ქრისტიანნი, ვერ ვიქნებით, თუნდაც რომ მაღალი სასულიერო წოდება გვქონდეს;

სამწუხაროდ, ადამიანთა დიდი ნაწილი ესწრაფვის, მას მოემსახურონ და მზრუნველობა მასზე გასწიონ, რომ ეგოისტური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. სხვისთვის მსახურება მათთვის ტვირთია ან ღიმილისმომგვრელი მდგომარეობა და, რადგან თავისი ცხოვრების წესის გამო სულიერი სიხარული არ იციან რა არის, ბედნიერებას მხოლოდ წარმავალ, მიწიერ კეთილდღეობაში ეძებენ; ამ ძებნაში კი ცოდვებს ცოდვებზე ამა-

3

2

ტებენ და ბოროტისაგან სულ უფრო დამონებულნი ხდებიან.

ეკლესიის მისია, რა თქმა უნდა, არის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჩართულობა, მაგრამ უმთავრესია, სიმართლის გზა დაანახოს ხალხს და, ვისაც აქვს სურვილი, მოამზადოს გოლგოთის გავლით ცათა სამეფოს წევრობისათვის.

ამიტომაც განსაცდელების არ უნდა გვეშინოდეს და უნდა ვიცოდეთ: თუ ჭეშმარიტ მორწმუნეთა საზოგადოებად ჩამოვყალიბდებით, ვერავინ დაგვამარცხებს, თუნდაც რომ დიდ ძალას დავუპირისპირდეთ, რადგან ჩვენ კი არა, ჩვენ გვერდით ჩვენს გადასარჩენად მებრძოლი უფალი იქნება უძლეველი და გამარჯვებული.

ფაქტია, ყველას გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს. ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორ ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარება. დეზორიენტირებული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს.

მიგვაჩნია, რომ, მართალია, ეკლესია და სახელმწიფო ინსტიტუციონალურად ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა იყოს და არის კიდეც, მაგრამ ქვეყნის შენების საქმეში აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ და ეს ურთიერთობა შეიძლება შეედაროს ადამიანის სულისა და სხეულის კავშირს.

ღვთის მადლით, ჩვენ გადაკვეთის არაერთი სფერო გვაქვს, მაგრამ მინდა გამოვყო აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია, რომელიც ძირითადად სახელმწიფოს ძალისხმევით მიმდინარეობს. ეს ის ეკლესიაა, სადაც პირველი საუკუნიდან დაბრძანებული იყო წმინდა ანდრია პირველწოდებულისთვის ყოვლადწმინდა მარიამის მიერ გადაცემული მისი ხელთუქმნელი ხატი ყრმა იესოსთან ერთად.

დღეს, როცა ეს ტაძრი იწყებს განმზადებას ზეციური დედოფლის ხატის დასაბრძანებლად, ახალ სიცოცხლეს იძენს დედა ღვთისას ეს სიტყვებიც, წმ. მოციქულს რომ დაბარა: "შვილო ანდრია, წაბრძანე სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა, ქვეყანასა ჩემდა წილხვდომილისა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღვუპყრა და შევეწიო და არავინ სძლიოს მათ."

„შენ, ზეცისა წვიმისა საწმისო, მარიამ. მხევალო და დედაო და ქალწულო, ცაო ცათაო, მხოლოო ხიდო ღმრთისაო კაცთა მომართ მოსვლისა, ნუ დასცხრები ხსნად სულთა ჩვენთაცა, ამინ!

ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, ებრაელებო, აზერბაიჯანელებო, სომეხნო, უდინნო, იეზიდნო, ასირიელნო, ქურთნო, ინგუშებო, ჩერქეზებო, ჩეჩნებო, ლეკნო... ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

ინებოს ღმერთმა, საქართველოც აღდგეს!

ილია მეორე,
საქართველოს
კათოლიკოს პატრიარქი.

დღევანდელი ქართველობა ბედნიერ საქართველოს უნდა მოვესწროთ!

ბიძინა ივანიშვილი მიმართავს ამომრჩევლებს

1

გრძელი და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით, როგორც საფქვავდაუყრელი წისქვილის ფუჭი ღრიტინით, ისედაც უკვე გვარიანად დაღლილია ჩვენი ხალხი, რომელიც ბოლო თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ვერა და ვერ გაიმართა წელში და რომელმაც გადაუჭრელი პრობლემების თვალჩაუწვდენელ ჯურღმულს დღემდე საკადრისად ვერ დააღწია თავი. მე, არაპოლიტიკოსი, სწორედ ჩვენი ქვეყნის ამ გადაუჭრელ პრობლემათა სიუხვემ ჩამრთო დიდ პოლიტიკაში და შეძლებისდაგვარად ვცდილობ, რომ ამ მხრივაც გამოვადგე ქვეყანასა და ხალხს. თუმცა, რა დასამალია, მართალი თუ მტყუანი, ბევრი კრიტიკოსი გამოჩნდა ამ ბოლო დროს. მე, როგორც „ქართულ ოცნებასთან" გაიგივებულს, ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ, ანუ ცხოვრების ასპარეზიდან ჯერ კიდევ სრულად გაურიყავმა ნაციონალებმა და, დიდად სამწუხაროდ, ამ აშკარად დრომოჭმული მოძრაობის ფეხის ხმას აყოლილმა უსახურმა პარტიებმა და დაბნეულმა ადამიანებმა ბოლო ხუთ თუ ექვს წელიწადში ნამდვილად წისქვილის ქვის ქვეშ მომაქციეს და მღერღავენ. ეს ეგრეთ წოდებული ჩასაფრებულთა კრიტიკა დიდწილად ვიწრო პარტიული და ხელისუფლებაში კვლავ მოსვლის დაუოკებელი ჟინით რომ არ იყოს გაჯერებული და ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას ისახავდეს მიზნად, ერთ-ერთი პირველი მე დავუჭერდი მხარს, რადგან დიახაც, ქართველთა ეს გაუთავებელი ურთიერთჭამა სერიოზულად აფერხებს ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ და თუნდაც პოლიტიკური კულტურის მხრივ წინ მოძრაობას. მთელი უბედურება ის არის, რომ ყველას ერთნაირად არ გვესმის სამშობლოსთვის ზრუნვა, თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ სიყვარულით, ალბათ, შედარებით ერთნაირად გვიყვარს ჩვენი მრავალტანჯული საქართველო, რომელიც ოფიციალურად დამოუკიდებელი კია, მაგრამ თავისუფლებისა და დემოკრატიის თვალსაზრისით, ჩემი გაგებით, ჯერ კიდევ ბევრი აკლია, რასაც მხოლოდ ისევ ჩვენი, ქართველთა, შეგნებული გაერთიანება თუ წაგვადგებოდა.

მაგრამ ვაი, რომ გაერთიანება კი არა, უკვე აშკარად შინაბრძოლაა გაჩაღებული ძალაუფლებისთვის და სამშობლოსთვის ზრუნვას ძალიან ბევრი საკუთარი თავისთვის ზრუნვაში ურევს. ეს ადამიანები, ნაირნაირ პოლიტიკურ პარტიებს ამოფარებული, არანაირ სიბინძურეს არ ერიდებიან და ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ როგორმე ჩირქი მოსცხონ „ქართულ ოცნებას" რომელმაც, მართალია, არაერთ წინააღმდეგობას დაპირებას ვერ დაადგა თავი, მაგრამ მოდით, ნუ დავემგვანებით იმ ერთ თვალგამდგარს, რომელიც რიყეზე ქვას ვერ ხედავს. ამ მხრივ, მოგეხსენებათ, რა დონეზე „ყოჩაღობენ" ნაციონალები, უფრო სწორად, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ნამდვილად დამნაშავე ააკაშვილის ნარჩენები, რომელთაგან თვითნებურად გამთავარარხებული „რუსთავი-2" მთელი ოცდაოთხი საათი მხოლოდ ხელისუფლეუბისა და „ოცნების" სახელის გატეხასა და ლაფში ამოსვრას უნდება.

არა მგონია, ვინმეს აეჭვებდეს, რომ ამ არხის უმთავრესი იდეოლოგიური დანიშნულება სწორედ ეს არის. არა მგონია, აგრეთვე ისიც, რომ მიუკერძოებელი პირუთვნელი ქართველი თუ საერთოდ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, ვერ გრძნობდეს და ვერ ხედავდეს იმ თუნდაც ცოტა, მაგრამ მაინც სასიკეთო ძვრებს, რაც ამუამინდელ ხუთწლიან პერიოდს წინა ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმისგან განასხვავებს. მაგრამ, ამის მიუხედავად, მე სულაც არ ვაპირებ არც პირადად ჩემს ანდა „ოცნების" ხელისუფლების რაიმე საკითხში გამართლებას. ეს, ჯერ ერთი, არც სწორი იქნებოდა და, მეორეც, გაუკეთებლის გაკეთებულად გამოცხადება, ნამდვილად უკადრისი საქციელია, რასაც, სავალალოდ, ხშირად მიმართავდნენ და ახლაც ხელსაც არ აკლებენ სამარცხვინოდ რეიტინგდაცემული პოლიტიკური პარტიები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად გაშმაგებულ თავიანთ ლიდერთა თავკაცობით.

ამ ჩემს გულისთქმის გადმოშლაში უწინარესად ბოდიში უნდა მოვუხადო ჩვენს ამომრჩეველს, რომელსაც ზედმეტად ბევრს დავპირდით, მაგრამ ყველაფერს თავი ვერ დავადგით. ამის მიზეზი, ცხადია, ძალიან ბევრია, თუმცა ხალხი სრულიად სამართლიანად საქმეს ითხოვს ჩვენგან და არა წინასაარჩევნო დაპირებათა შეუსრულებლობის მიზეზებს. მაგრამ მე რომ არც ვთქვა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მიუკერძოებელი, შეგნებული ამომრჩეველი ისედაც ცხადად ხედავს ამუამინდელი დესტრუქციული ოპოზიციის მიერ ხელისუფლებისათვის გააფთრებულ ხელისშემშლელ საქმიანობას, რაც არა მარტო აფერხებს, არამედ ხშირ შემთხვევაში შეგნებულად ამუხრუჭებს ბევრ სასიკეთო ძალისხმევას და უამრავ დროს აკარგვინებს ხელისუფლებას. არადა, ოპოზიციასთან ურთიერთობაში ასე ფუჭად დაკარგული დრო უნდა არაერთ საქვეყნო საქმეს მოხმარებოდა.

მე უკვე ვთქვი და კვლავაც გავიმეორებ, რომ გაუკეთებლის გაკეთებულად გამოცხადება არასაკადრისი საქციელი და უზნეობაა, მით უმეტეს, უსაგნო ტრაბახი, მაგრამ, როცა სინამდვილეს მიზანმიმართულად ამახინჯებენ და მსმენელს თუ მკითხველს სწორი ინფორმაციის ნაცვლად დეზინფორმაციას აწვდიან და ყოველგვარ იდეოლოგიურ ფანდსა და ილეთს იყენებენ, რათა ხალხის თვალში „გაამაიმუნონ" ხელისუფლება, ძირი გამოუთხარონ არსებულს და გზა ასე უღირსად გაიკაფონ მომავალი არჩევნებისკენ, აუცილებლად მიმაჩნია ხალხისთვის სიმართლის თქმა, თუმცა ხალხი ჩვენგან უთქმელადაც ხვდება და ხედავს, ვინ სად ტყუის და ვინ სად მართალია. აი, მაგალითად, ოპოზიცია, ისევ მოსატყუებლად, ხალხს პენსიის 400 ლარამდე გაზრდას ჰპირდება, ხელისუფლება კი რეალურ ციფრებზე ლაპარაკობს, რაც პენსიასაც და სოციალურ შემწეობასაც ნამდვილად გაზრდის ბიუჯეტის შესაბამისად. ჯერჯერობით, ფეხს ისე ვშლით, საბანი როგორც გვწვდება.

ადამიანების გარკვეულ წრეს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს, რა დღეშიც იყო მასმედია, ბიზნესი, საერთოდ თავისუფალი აზრი ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლამდე, ხალხს არც ის დავიწყებია და, ალბათ, არც არასოდეს დაავიწყდება რა ძალადობას და ძალმომრეობას მიმართავდა ის ხელისუფლება, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგრად დარჩება „ცოცხების ეპოპეა" ხალხმა სწორი ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. 2012 წელი თვალსაჩინო წყალგამყოფად იქცა ძველ სასტიკ რეჟიმსა და ახალ, დემოკრატიულობის სულისკვეთებით გაჯერებულ სისტემას შორის.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯერ იმდენი არ გაკეთებულა, რამდენსაც „ქართული ოცნება" შეპირებულია თავის ამომრჩეველს, რომელსაც კარგად ესმის, რომ ქალაქი კი არა, სოფელიც არ აშენებულა ერთი ხელის დაკვრით. მთავარი მაინც ის არის, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფასადურს მტკიცეუარი ეთქვა და ცხოვრების „შინაგან" დემოკრატიას ჩაეყარა მყარი საფუძველი, რომელზეც შენდება დღეს ჯერ ისევ სიღარიბის არტახებდაუწყვეტელი ჩვენი ქვეყანა.

განა ქვეყნის დემოკრატიულობაზე არ მეტყველებს თუნდაც თვით „რუსთავი-2" გამუდმებული ანტისახელისუფლებო მაუწყებლობის არსებობა?! ჯანსაღი კრიტიკა, რასაკვირველია, აუცილებელი და უებარი წამალია ხვალინდელი კეთილდღეობისთვის მებრძოლი და მშრომელი საზოგადოებისათვის, მაგრამ განა ჯანსაღი კრიტიკაა, ქვეყნის აღმშენებლობის სურვილიდან გამომდინარე, ისეთი გადაცემები, როგორც „ქერის უბანი", ან „ვანოს შოუ", ან „აქცენტები" ან „P. S." ანდა, საერთოდ, საინფორმაციო სამსახური. „კურიერი" ეს ფაქტობრივად ერთპარტიული, კერძო, პირადად საკაკაშვილის არხია, რომლის არა ქვეყნის საკეთილდღეო, არამედ „უნიათოდ" და „უუნაროდ" მონათლული ხელისუფლების გაუთავებელი კედელთან მიჭირხვნის, დაცინვის, გამასხრებისა და გაპამპულების წყაროა.

ცოტა არ იყოს, იქნებ უხერხულია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ პირადად მე, ამ არხისგან განიადაგებულ ცილისწამებაში მიხდება ცხოვრება. მკითხველს უთუოდ ახსოვს, რამდენჯერ დამდო ბრალი „რუსთავი-2"-მა ხან რაში და ხან რაში, მაგრამ ყველაფერში გამტყუნდა. ახლა ხეები აქვთ ამოჩემებული, თითქოს მე არა შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკს ვაშენებდე, არამედ ჩემს ეზოში გადმომქონდეს ასწლოვანი ხეები და ფაშასავით განცხრომას ვეძლეოდე. სამწუხაროდ, ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი ამ ცილისწამებას იჯერებს და სიმართლე ჰგონია, რომ მე თურმე ვანადგურებ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკოლოგიას.

მაგრამ თუ მართლა დემოკრატიას ვაშენებთ, მე მოთმინების გარდა, სხვა გზა არა მაქვს. ესე იგი, გააჩნია ქვეყნის დემოკრატიულობას ვინ როგორ ან რისთვის იყენებს.

რა ვუყოთ, რადგან ცხოვრება თავისებური ბრძოლაა, ჩვენც იმის იმედით უნდა ვიბრძოლოთ, რომ საბოლოოდ კეთილი სძლევს ბოროტს. რაც შეეხება ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობას, ოპოზიციის გამუდმებულ ცილისმწამებლურ თავდასხმებსა და გამოხდომებს გულუბრყვილო, მიამიტი ადამიანების შეცდომაში შეყვანის მიზნით, როგორც აქამდე, კვლავაც უნდა გავუძლოთ და მგლის შიშით ცხვარს არ გავწყვეტთ. ჩვენ რაც დავპირდით ხალხს, მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ ყველაფერს აუცილებლად თავს დავადგამთ. მთავარია, ხალხს სჯეროდეს ჩვენი. პირადად ჩემი ცხოვრების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობაა. ამ მხრივ თავის შერცხვენა, ვიცი, სიკვდილის ტოლფასია!

წინ არჩევნებია, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო. ვინაიდან მოყვარეცა და მტერიც ყველაფერს, კარგსაც და ავსაც, მე მაწერენ, ახლა იმ საგონებელში ვარ, მართლაც ხომ არ აჯობებს, ერთი ვადით პრეზიდენტად ვიყარო კენჭი. მაინც ხელისუფლების არაფორმალური მართვა მე მბრალდება და ბარემ ხელისუფლებაში ვიქნები.

ვნახოთ, წინ კიდევ საკმარისი დროა!

მე მხოლოდ ის აზრი მაცოცხლებს, ჩემო საყვარელო ხალხო, თქვენთან ერთად მოვესწრო ისეთ დალხენილ საქართველოს, რომ ყველამ ერთად მსოფლიოს გასაგონად გულსავსედ შევძახოთ „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!".

სიყვარულითა და პატივისცემით

ბიძინა ივანიშვილი,
საქართველოს მოქალაქე,

თბილისი, 1 აპრილი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ბენეფიციარებს საალდგომო საჩუქრები გადაეცათ

ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და საკრებულოს კულტურის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია ხობის მუნიციპალიტეტის უმწეოთა სასადილოს ეწვივნენ, ბენეფიციარებს დამდეგი აღდგომის დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

„სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის“ ფარგლებში საჩუქრები 120 ბენეფიციარს გადაეცა. პროგრამა ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს

ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიის“ თავმჯდომარის მოადგილე შოლინა კანკია, ახალი ხიბულის, საჯიჯაოს და ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების განცხადების საფუძველზე, ადგილზე გაეცნენ მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ფულად დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამით 2017 წელს 21 ბენეფიციარს გაეწია 37600 ლარის დახმარება.

მოსახლეობას გამოკვლევები უფასოდ უტარდებათ

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ და ადგილობრივი თვითმმართველობა ხობის მუნიციპალიტეტში, ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის და „C“ ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის მიზნით საპილოტე პროგრამას ახორციელებენ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის და „C“ ჰეპატიტის ანალიზი უფასოდ ჩაიტაროს. დღეის მდგომარეობით გამოკვლევა ჩაუტარდა 270 მოქალაქეს.

პროგრამა 1 აპრილს დაიწყო და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

სამეგრელო–ზემო სვანეთის გუბერნატორი მუნიციპალიტეტის მერებს შეხვდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, მოადგილესთან ერთად რეგიონის მერებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე მხარეში არსებულ პრობლემებზე, ასევე მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს.

„ყველა პროექტი პირად კონტროლზე აიყვანეთ, სამუშაოები მაქსიმალურად მაღალხარისხიანად უნდა იყოს ჩატარებული. გთხოვთ, რომ უფრო მეტი კომუნიკაცია გქონდეთ ხალხთან, პირადად მიდით ყველა სოფელში, უბანში, რათა მაქსიმალურად გავიგოთ საჭიროებები და შემდეგ უკვე მათი გადაჭრის გზებზე ვიმუშაოთ. ჩვენ მასიმალურად ვცდილობთ ყველა სოფელს ჰქონდეს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა: გზა, წყალი, ბუნებრივი აირი, ამ მხრივ ძალიან ბევრი გაკეთდა, თუმცა მასშტაბური პრობლემებია და ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ამიტომაც გთხოვთ რომ მაქსიმალურად შევისწავლოთ ყველა პრობლემა და საჭიროება რაც ჩვენს მოქალაქეებს აქვთ“–განაცხადა შეხვედრაზე გუბერნატორმა.

ლევან შონიამ, მერებს ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით დასუფთავების სამსახურების 24 საათიანი მუშაობა დაავალა.

„ჩვენი რეგიონის ინტერესი ტურისტებში იზრდება, წელს სამეგრელო-ზემო სვანეთი ბევრად მეტ ტურისტს უმასპინძლებს, ვიდრე გასულ წლებში, ამიტომაც ყველა ტურისტულ მარშრუტზე და ლოკაციაზე უნდა იყოს მაქსიმალური სისუფთავე. თუ საჭირო გახდება მოახდინეთ დამატებითი მუშახელის მობილიზება და პირადად გააკონტროლეთ თქვენს მუნიციპალიტეტებში არსებული ვითარება“.

ლევან შონიას ინიციატივით, დედამიწის დღეს, 22 აპრილს დასუფთავების მასშტაბური აქცია ჩატარდება, სადაც მონაწილეობას რეგიონის მასშტაბით 5000-ზე მეტი მოხალისე მიიღებს. დასუფთავდება პრობლემური ლოკაციები, სადაც დასუფთავების სამსახურები ყოველდღიურ მუშაობას ვერ ახერხებენ.

შეხვედრა „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლებთან

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით, პროექტის „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე“ ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანიც ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ფორმირება იყო.

შეხვედრაზე „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“, მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებმა ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგია პუნქტობრივად განიხილეს და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს. შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და საკრებულოს კულტურის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია ესწრებოდნენ.

2016 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომლებიც ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა. ცვლილებათა პაკეტი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნას გულისხმობს. პროექტს „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე“ ქალთა საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციას ადგილობრივ დონეზე. პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

შეხვედრა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებზე

საქართველოს პარლამენტის წევრი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ხამისკურის, თორსა-დღვაბის, ხეთის, პირველი მაისის და გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობას შეხვდნენ.

მოსახლეობასთან შეხვედრები მიზნად ისახავდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის, ინვაზიური მავნებლისგან განადგურების მექანიკური საშუალებებისა და შესაწამლი პრეპარატების გამოყენების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

„სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად მცირე იყოს ზარალის მოცულობა და შემცირდეს ფაროსანას გავრცელების არეალი. მავნებელთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: აქტიურ საინფორმაციო კამპანიას, სრულმასშტაბიან მონიტორინგს და მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (ქიმიური წამლობა). მავნებელთან ბრძოლის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საზოგადოების აქტიურობაზე. ყოველ დასახლებაში უნდა შევქმნათ მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც დაეხმარებიან იმ ოჯახებს, რომელთაც საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შეწამვლა“–აღნიშნა მოსახლეობასთან შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

მიმდინარე წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო 50 მილიონ ლარამდე დახარჯავს. გაძლიერდება მონიტორინგი, დამონტაჟდება 100 ათასზე მეტი ფერომონი და იმუშავებს 120 ერთეული მაღალი გამავლობის (70 მაღალი გამავლობის ავტომობილი თერმული ნისლის აგრეგატით, 50 მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა).

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაცია აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საშუალებებთან დაკავშირებით:

ფაროსანას განადგურება შენობებში შესაძლებელია იმ სადეზინსექციო საშუალებებით (ინსექტიციდი), რომელთა გამოყენება საფრთხეს არ უქმნის ადამიანთა და შინაურ ცხოველთა ჯანმრთელობას–სითხეები, აეროზოლები, ფხვნილები და ა.შ. მფრინავი და მცოცავი მწერებისთვის;

-სადეზინსექციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ბავშვების შენობებში არყოფნის პერიოდში;

-სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს დამუშავებული ობიექტის დასუფთავება და განიავება;

-გამოყენებამდე ყურადღებით გაეცანით პრეპარატის თანმხლებ ინსტრუქციას და ზედმიწევნით დაიცავით გამოყენების წესები;

ნებისმიერი სადეზინსექციო საშუალებების შენახვისა და გამოყენებისას აუცილებელია უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვა:

-არ დაუშვათ სადეზინსექციო საშუალების მოხვედრა ლორწოვან გარსზე ან კანზე;

-აკრძალულია პრეპარატთან მუშაობის დროს თამბაქოს მოწევა და საკვების/წყლის მიღება;

-პრეპარატი უნდა ინახებოდეს გარეშე პირებისა და ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას;

-დაუშვებელია პრეპარატის უმეთვალყურეოდ დატოვება;

ქიმიური დეზინსექციის ჩატარებისას დეტალურად გაეცანით გამოსაყენებელი პრეპარატის ინსტრუქციას და მწარმოებლის მიერ რეკომენდებულ უსაფრთოების წესებს;

საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დანიშნულებით დეზინსექციის ჩასატარებლად საქართველოში რეგისტრირებული და ნებადართული პრეპარატების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: http://www.ncdc.ge/Pages/User/Documents.aspx... . აქვე წარმოდგენილია ის რეგისტრირებული სადეზინსექციო საშუალებები, რომლებიც თანმხლები ინსტრუქციის თანახმად შესაძლებელია გამოყენებულიქნეს შენობებში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ:

1. „რაფტორი-აეროზოლი მცოცავი მწერების საწინააღმდეგოდ“
2. ,,K-Othrine SC 50“
3. ,,BUNTOX INSECTISIDE AEROZOL EXTRA KILLER“
4. „ბდიხლოფოსი ეკო“
5. „Insecticida Mugal Forte“
6. „სახლის პრაშკა გელი“
7. „ბდიხლოფოსი „მრ ვოლტ“ უნივერსალური“
8. „რეიდი“ ტარაკნებისა და ჭიანჭველების წინააღმდეგ
9. „სოლფისანი“

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ხობის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების პროექტი იწყება

„საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 აპრილის 725 განკარგულების შესაბამისად შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ განახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულიწყუს გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოებს.

ამავე განკარგულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა საპროექტო სამუშაოების ნებართვის გაცემის მიზნით საჭირო ქმედებების განხორციელება.

საქართველოს მთავრობამ 2017 წელს განახორციელა ხეთისა და ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულების გაზიფიცირება. აღნიშნული პროექტის განხორციელებით 6300-მდე მოსახლეს ბუნებრივი გაზით სარგებლოს შესაძლებლობა მიეცა.

ქალაქ ხობში გზების რეაბილიტაცია დაიწყო

ქალაქ ხობში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, შიდა გზების მოასფალტება მიმდინარეობს. 26 მაისის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაო ხობის მუნიციპალიტეტის მერმა, გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილემ, ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს. მიმდინარე წელს ქალაქ ხობში, ერეკლე მეორის ქუჩაზე დაიგო ასფალტის საფარი, ხოლო დავით აღმაშენებლის (I და II ჩიხები), ფირსმანის, იონა მეუნარგიას, ვახტანგ გორგასლის (მეორე ჩიხი) ქუჩებზე და ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დაიწყება.

ქალაქ ხობში ნაპირსამაგრი გამბიონი შენდება

ქალაქ ხობში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩაზე ნაპირდამცავი გაბიონი შენდება. მიმდინარე სამუშაო ხობის მუნიციპალიტეტის მერმა, გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილემ, ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

- 70 მეტრ მანძილზე აშენდება გაბიონი;
- პროექტის ღირებულება 152400 ლარია;
- დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელი;
- მშენებლობა აპრილის ბოლომდე დასრულდება.

პროექტს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „შარაგზამშენი პირველი“ ახორციელებს.

საქართველოს მთავრობამ, 2017 წლის 24 ივლისის, 1543 განკარგულებით, ხობის მუნიციპალიტეტში წყალდიდობის დროს დაზიანებული ობიექტების (გზები, ხიდები, ხიდ-ბოგირები და ნაპირდამცავი ჯებირები) აღსადგენად მილიონ ნახევარი ლარი გამოყო.

საჯიჯაოში ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხობის მუნიციპალიტეტში, მორიგ მსხვილმასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს.

შიდასახელმწიფოებრივი გზის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის მეთერთმეტე კილომეტრზე მდებარე (მდინარე ხობზე) ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო.

პროექტი სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 679946 ლარს შეადგენს.

ხიდის სიგრძე 136, ხოლო სიგანე 10.66 მეტრია. სამშენებლო სამუშაოები აგვისტოს ბოლომდე დასრულდება.

პარალელურად, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში შუა ხორგა-ქარიატა-ყულევის დამაკავშირებელი 16 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციას ახორციელებს.

შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“ ერთ-ერთია, რომლის საქმიანობის ავ-კარგი პირდაპირ კავშირშია ქალაქის მოსახლეობის ყოველდღიურობასთან... ამდენად ამ სამსახურის სწორი მართვა დიდად საპასუხისმგებლო და შრომატევადია.

ამასწინათ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამსახურს ხელმძღვანელი შეეცვალა. სულ რამდენიმე თვეა შ.პ.ს.-ს მართვა პირინციპულ, შრომისმოყვარე, სამართლიან და ქალაქის ინტერესების დამცველ ახალგაზრდა კადრს ***ნერუ ბუკიას*** *დაევალა.*

მაღალი პასუხისმგებლობით და შინაგანი კეთილშობილებით მან თავისი პიროვნებაც უკეთ გამოაჩინა და ქალაქსაც, რომ იტყვიან, ხელი დაატყო.

ვფიქრობ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება მასთან თუნდაც ნაუცბადევი საუბრის გაზიარება.

„ვცდილობთ სუფთა და მოვლილ ქალაქში ვიცხოვროთ“

ბატონო ნერუ, გთხოვთ გაეცნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველს?

– ვსწავლობდი თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. დავამთავრე სპეციალური კურსები პოლიციის აკადემიაში. 2 წელი ვიმუშავე შ.პ.ს „ჯორჯიან ბეიქერსში“ სუპერ ვაიზერად. მერე გადავედი სხვა ფირმაში შ.პ.ს „პრინც გოლდში“ გაყიდვების მენეჯერად. ვიმუშავე 2 წელი. შემდეგ 2 წელზე მეტი ამავე ფირმის დასავლეთის ფილიალის უფროსი ვიყავი.

სკოლის მანდატურად მუშაობა იყო ჩემი პირველი საჯარო სამსახური. ორი წელი ვიმუშავე მანდატურად სხვადასხვა სკოლებში.

ცოტა ხნის შესვენების მერე დავიწყე მუშაობა ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში (გამგეობაში) შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში უფროს სპეციალისტად კონტროლის დარგში. ისე ჩემს სამუშაო გამოცდილებას თუ გადავხედავთ შეამნევთ, რომ ყოველ ორ წელიწადში მიწევდა ახალ-ახალ სამსახურში მუშაობა ან დაწინაურება.

მშობლები უმაღლესი განათლებით არიან. მამა გიორგი ბუკია თბილისის ტრანსპორტის სამსახურში მუშაობს. დედა ამჟამად დიასახლისია.

ამ გზის ხელახლა გავლა რომ შეიძლებოდეს, რა კორექტივებს შეიტანდით?

– ამ გზის გავლა ხელახლა რო შემძლებოდა, ალბათ, არაფერს არ შევცვლიდი, მადლობა უფალს რომ აქამდე მოვედი.

ამჟამად მეტად საპასუხისმგებლო და შრომატევად სამსახურს ხელმძღვანელობთ. მართალია, დროის მცირე მონაკვეთში ძნელია ხელი დაატყოთ, მაგრამ საინტერესოა თქვენი ხედვა, რა ცვლილებებს გეგმავთ მუშაობის ახლებურად წარმართვისთვის, რა არის პრიორიტეტული?

–პირველ რიგში დისციპლინას და სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებას მოვითხოვ ყველა თანამშრომლისგან.

დროის მცირე მონაკვეთში რამდენიმე მიმართულება შევცვალე. მაგალითად სამუშაო დრო დასუფთავებაზე კვირაში 26 სამუშაო დღით გავზარდეთ, დასუფთავების კვადრატულობა დავარეგულირეთ, ხელფასების გათანაბრებასაც ვფიქრობთ. როგორც დასუფთავების კვადრატები, ასევე ხელფასებიც თანაბრად ექნება ყველა მეეზოვეს. ნაგავმზიდები ადრე ყოველ მესამე დღე მუშაობდნენ, თან დღის საათებში, ახლა ყოველ დღე ღამის საათებში მუ-

შაობენ. რაც შეეხება გარე განათებას, ვგეგმავთ მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახალი დიოდური ლედ ლამპიონების მონტაჟს. ეს განათების ხარისხს შეცვლის და რა თქმა უნდა, ორმაგი ნათება ექნება, ამავდროულად ეკონომიურიც არის და ელექტროენერგიის ხარჯიც ნაკლები გვექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრო ენერგიით დაზოგილი თანხით შევძლებთ მეტი ახალი ქუჩის განათებას.

არ შემიძლია პარკ ხეივნებზე არაფერი ვთქვა, მოგეხსენებათ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას მხარდაჭერით ახალი ევრო სტანდარტული პარკის მშენებლობა იწყება, რის შემდეგაც ხობი ევროპის პატარა ქალაქს დაემსგავსება.

ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა რა საკითხების მოგვარებაში გჭირდებათ?

–ადგილობრივი ხელისუფლების მერის და მაჟორიტარი დეპუტატის მხარდაჭერით ვცდილობ ზემოთ აღნიშნული ყველა საკითხის მოგვარებას. ვფიქრობ ხალხისა და მუნიციპალიტეტის წარმატებისთვის მაქსიმალურად დავიხარჯო.

ადამიანები, რომელთანაც მუშაობა ძალას გმატებთ და მიზნის მიღწევისთვის განგაწყობთ?

–პირველ რიგში უდიდეს პატივს ვცემ თითოეულ მეეზოვეს, მუშას, ელექტრიკოსს, მეველეს, მძღოლს და, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციას, რომლის გარეშეც მარტო ვერაფერს გავხდებოდი. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი ყოფილი თანამშრომლების მხარდაჭერა, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობ.

ახალმა სამსახურმა ხომ არ შეგიცვალათ ცხოვრების ყოველდღიური რეჟიმი?

–რა თქმა უნდა, შემიცვალა. არის დრო, როდესაც ღამის ოთხ საათზე მიწევს ხოლმე სამსახურში გამოსვლა, ხან დილა უთენია ავარიული შემთხვევების დროს, მაგრამ არაუშავს, მთავარია, ხობი განათდეს, დასუფთავდეს, გალამაზდეს და ყველაფერი კარგად იქნება.

თქვენი სამსახურის გამართული მუშაობა ქმნის ჩვენი ქალაქის იმიჯს. რას პირდებით ამ მხრივ ქალაქის მოსახლეობას და რას მოითხოვთ მათგან?

–ქალაქის მოსახლეობას ერთ რაღაცას ვპირდები, ამიერიდან ქალაქში არ იქნება დაგროვილი ნაგავი, ჩამქრალ შუქს და მოუვლელ პარკს ვეღარ ნახავენ, მაგრამ ყველას ძალიან ვთხოვ, გაითავისონ რომ ქალაქი იგივე სახლია და სახლს რომ დავასუფთავებთ, ნაგავს ეზოში ნუ დავყრით, სიგარეტს რომ მოვწევთ მიწაზე ნუ მოვისვრით, გული ძალიან მწყდება, როდესაც საყოფაცხოვრებო ნაგავს ვხედავ ხან სად და ხან სად. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მოვიცვათ მთელი ქალაქი, მაგრამ ეს ზოგჯერ ჩვენს ძალებსაც კი აღემატება და თუ ამას თითოეული მოქალაქე გაითავისებს, მაშინ სუფთა და მოვლილ ქალაქში ვიცხოვრებთ.

პრობლემები, რომელიც ხელს გიშლით უკეთ მუშაობდეთ და როგორ გესახებათ მათი გადაწყვეტის გზები?

–პრობლემები, ალბათ, მაინც არასაკმარისი ფინანსებია. რა თქმა უნდა, მეტი ტექნიკა, მეტი ხალხი, მეტი ხელფასი მუშებისთვის და მეეზოვეების წარმატებით მუშაობისთვის უკეთესი იქნებოდა.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

ზღიც-ინტერვიუ

„გვიყვარდეს და პატივი ვცეთ ერთმანეთს“

სახელი: ბექა.
გვარი: მამაცაშვილი.
საქმიანობა:

–საკრებულოს „ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე:

–ბედნიერებისთვის ცოტაც კმარა, იყო ასეთი დღე თუმცა არ დავკონკრეტდები.

რას ინატრებდით?

ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას.

სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?

–ყოველთვის მინდოდა მთაში პატარა ქოხი! სურვილი სურვილად რჩება.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?

–რაც შეიძლებოდა, რომ არ მესურვა, ის რაღაც დოზით უკვე მოხდა, თუმცა რადიკალურიც არაფერი.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?

–საკმაოდ არიან ადამიანები ჩემს ცხოვრებაში ვის გარეშეც ვერ წარმომიდგენია ცხოვრება, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩა ადგილი ამ სიის შესავსებად.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?

–ძლიერი ვარ! მოთმინებით და მიტევებით ვუდგები ცხოვრების გამოწვევებს, თუმცა საკუთარი პრინციპებიც გამაჩნია, მაგრამ არა ცუდი და დამაზიანებელი.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?

–ყველას ვენდობი, რაც უცნაურად მიმაჩნია.

რისი გჯერათ?

–მშობლების და მეგობრების.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?

–ხანდახან გვიწევს ისეთი რამეების კეთება, რაც არ გვსურს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ როგორც დღემდე, მომავალშიც ცუდს არაფერს გავაკეთებ.

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება

–პატიოსნება! ღირსება! ერთგულება!

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

–სიმაღლის.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?

–ყველაფერი კარგად იქნება!

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?

–ვინ ხარ, საიდან მოდიხარ?

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?

–ზოგადად სულ მიზიდავდა პოლიტიკა, მაგრამ შორიდან მხოლოდ, როდესაც რეალობის წინაშე დავდექი, მივხვდი, რომ შეიძლება აქედან კეთილი საქმეების კეთება! საქმე მხოლოდ...

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?

–ჩემი თავი! ხშირად ვოპონირებ საკუთარ თავთან და ასევე ჩემი ახლობლები.

ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?

–ბევრი არ მინდა ვიცოდე! ცხოვრება თავად მიგვიყვანს იმ დოზამდე, რამდენიც უნდა ვიცოდეთ-აღარ დავკონკრეტდები...

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?

–ცხოვრება მიუხედავად სირთულეებისა და უამრავი გამოწვევისა, ძალიან ლამაზია. უბრალოდ, სწორი აღქმა და ბრძოლა სჭირდება, მაგრამ საკუთარი თავი უნდა გაანებივრო ხოლმე ხასიათის მიხედვით.

როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?

–ადამიანი ფასობს მისი განვლილი ცხოვრებით. მინდა მხოლოდ პატიოსნებით და ერთგულებით დამიმახსოვრონ.

როცა უკან მოიხედავთ, რას ხედავთ?

–გზას, რომელიც დღემდე გამოვიარე.

თქვენი ნება რომ იყოს რას შეცვლიდით?

–ჩემს ქვეყანას გავამთლიანებდი!

რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით

–გვიყვარდეს და პატივი ვცეთ ერთმანეთს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

სიძველეთა სიახლე

გოგიტა ჩიტაიას წიგნების გამო

მათი არსებობის შემჩნევა და აღქმა ძნელი არ არის: ბევრი მათგანი შორიდან ჩანს, ზოგიერთი მთის, გორაკის, დიხაგუძუბის, შემაღლებლი მისწის ზედაპირზეა აგებულნაშენები; ბევრს შენარჩუნებული აქვს თლილი ქვებით აწყობილი კედლები, ზოგიერთს კი კედლის ქვები ჩამოშლია, ჩამორღვევია ქვითკირი; ჟამთა სიავეს უჯობნია და ძირს ჩამოუყრია თავის დროზე დიდოსტატის ნაოფლარი და ნალოლიავები, ლამაზად თლილი, გაშალაშინებული ქვები.. არაა გამორიცხული, ეს იყოს ვერაგი, არაქრისტიანი მტრის ხელყოფის შედეგი (მაგალითად გამოდგება ქუთაისში ბაგრატის ტაძრის გადაწვა თურქთა მიერ...) დარღვეულ კედელზე მრავალსაუკუნოვანი სურო აცოცებულა და ალაგ გარეული ლეღვის ხე გადმოკიდებულა...

ისინი–ტაძარი, ჯიხა, ნაეკლესიარი მრავლადაა ხობის ტერიტორიაზე. სიმრავლე კი დასტურია იმისა, რომ ძველ კოლხთა ცხოვრება და შემოქმედება, ხელოვნება და კულტურა არ ჩამორჩებოდა მსოფლიოში ცნობილ ხალხთა კულტურებს... იმასაც აღიარებენ, რომ ძველი იბერიების კულტურა, მისი მაჩვენებლები მცირედი განსხვავებით აირეკლა მრავალი ქვეყნის ისტორიაში... ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ანტიკური ხანის ჟამთაღმწერლებს.

ხობის ტერიტორია დიდია, ვრცელია. მკვლევარს ფეხით დაუვლია და შეუმოწმებია, უძებნია და უპოვნია, გამოუკითხავს და მიუგნია ძველი ხელოვნების ნიმუშისთვის; ვინ იცის, რამდენი რამ დაიკარგა და ჟამთა წრებრუნვაში დაინთქა და შენ რომ არა, გოგიტა, ვინ იცის კიდევ რამდენი რამე დაკარულიყო. შენი წიგნები „ხობის მონასტერი“, „წარსულის ფურცლები (ანზორ სიჭინავასთან ერთად), „ხობის სიძველენი“ შექმნილია ჭეშმარიტი ნიჭით, მამულიშვილური სიყვარულით, მონდომებითა და მეცადინეობით.

გოგიტა ჩიტაიას მიერ გამომზეურებული საუკუნის წინანდელი პუბლიკაციები განცვიფრებას იწვევს მკითხველში განათლებისადმი, ცოდნის შეძენისადმი მოსახლეობის წყურვილით და სიყვარულით, აქედან ნათელი ხდება, როგორ ამოიზარდნენ ხობის სოფლების წიაღიდან დიდი მოღვაწეები-იპოლიტე ვართაგავა. თედო სახოკია, ჯაჯუ ჯორჯიკია, ესტატე შუშანია და კიდევ სხვანი და სხვანი.

უკომენტაროდ მოგვყავს ადგილები წიგნიდან „წარსულის ფურცლები“.

„დროება“, 1884 წ. 3 აგვისტო. სამეგრელოდან გვწერენ, რომ ბევრს აქაურ სოფლებში სკოლები არსებობდა წერა-კითხვის სასწავლებლად და ახალა დაიხურაო. მაგ. სოფელ ჭალადიდში სკოლა ამ ხუთი წლის წინ დაიხურაო, მაგრამ წარმოიდგინეთ, ხალხის სიყვარული სწავლისადმი ისე ძლიერია, რომ ნასკოლევ სახლში დღემდის გზავნიან მშობლები ბავშვებს, სადაც ისინი თავიანთი მოხერხებით, ერთმანეთის დახმარებით განაგრძობენ სწავლას უმასწავლებლოდ და უხელმძღვანელოდ“. (ადგილი წიგიდან „ხობის სიძველენი“).

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით, რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად, აღვრიცხეთ კულტურული მემკვიდრეობის 275 ობიექტი. აქედან ეკლესიაა–16, ნაეკლესიარი–31, ციხეკოშკი და სხვა ნაგებობანი–21, არქეოლოგიური ობიექტი–207. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი აღრიცხულია. რიგი მიზეზებისა გამო სუსტად გვაქვს აღრიცხული რიონ-ფიჩორისა და ჭურიის...

სულ მავიწყდება: თქვენ ქალაქის სკოლა დაამთავრეთ თუ?.. შეკითხავა მეორე: რას მოასწავებს სოფლებში სკოლების დახურვა?

„შინაური საქმეები“. 1912 წ. ივნისი.

„ჩვენი სამშობლოს ისტორიის მცოდნენი ხოპის დაარსებას მეათე საუკუნის წინა დროს აკუთვნებენ. ხსენებულ მონასტერში ასვენია მეათე საუკუნის ხელოვნების ხატები და ისეთი ფასდაუდებელი ნაშთი, როგორიცა არის დიდებული თამარ დედოფლის გულსაკიდი ჯვარი.

ხობის მონასტერს აბრწყინებს კვართი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, მთელი მარჯვენა მკლავი ქალწულმოწამე მარინეს და მარცხენა ხელი წმ. კვირიკესი“.

რაოდენ საინტერესოა ღვთისმშობლის კვართის ისტორია (თავგადასავალი)... მეისტორიე ცხადყოფს იმ დიდ სიყვარულს და რწმენას ქრისტიანობისადმი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე უფრთხილდებოდა ქართველი, ათასნაირ ძნელბედობაში შეინარჩუნა თვითმყოფადი კულტურა, ენა, სარწმუნოება.

მაგალითად და საამაყოდ დადიანთა მოღვაწეობაც კმარა. მათ შორის უპირველესი–ცოტნეს გმირობაა. ცოტნეს სახელი უკვდავების ჩარჩოში ათავსებს მეგობრობის, გამძლეობის, პატრიოტიზმის, გაუტეხელი სულის სიძლიერეს.

ვიცით კი როგორი წინაპრები გვყოლია?!

წარსულის იმ დონეზე წარმოჩენა რომ თანამედროვე პიროვნებაში დადებითი (და არა ნიჰილიზმი!) ემოცია გამოიწვიოს, ალბათ ძნელია. ტელეხედვის მეშვეობით საკარძელში მჯდომმა შეგიძლია, შეათვალიერო ქვეყნიერების საოცრებანი, მაგრამ ის, რაც ამ წიგნებშია, ხომ ქართულია, ჩვენია, კოლხურია.. ჩვენს წინაპრებს გოლგოთამდე უვლიათ, გადარჩენილებს ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი.

შენ გოგიტა, მადლიერებით უნდა გესალმებოდეს ყველა ხობელი. წიგნებში მრავალი ფოტოა, რომელიც გვისურათებს რეალობას. სურათებიდან ჩვენი წინაპრები გვიყურებენ. აუწერელი გრძნობაა, მათში შენი და ჩემი მოგვარეც ურევია... ყოველი მოვლენა, ფაქტი გულთან ახლოა.

„1855 წელს ხობში დაბანაკებულ თურქებს გადაუწყვეტიათ მონასტერი თოფისწამლის საწყობად გადაექციათ. მათ „ერთხელ საღამოს ნახეს, რომ მონასტერს ნათელი დასდგომია“...

თურქები შეშინებულან...

გოგიტა ჩიტაია სანთლით დაეძებს წინაპრის მიერ შექმნილს და აწ იავარქმნილს. შესაშურია მისი ინტელექტი და მონდომება. წაიკითხეთ ეს წიგნები და თავად დარწმუნდებით ნათქვამის სისწორეში.

„ღღეს მამა-პაპის ადგილი გვიკავია ჩვენ. თუ ჩვენ ჩვენი ძვლების მტკიცე სარწმუნოებისა და მაღალი ზნეობის მიმდევარნი ვიქნებით, თუ ჩვენც ისეთი სასოება და სიყვარული გვექნება ღვთისმშობლისა, როგორც ჩვენს მამა-პაპას, მაშინ ღედა ღვთისა არაფრის გულისთვის არ გაგვწირავს მის წილხვედრ ერს, ჩვენი ცხოვრებაც ისეთი უშიშარი და სახელოვანი იქნება, როგორც ჩვენი წინაპრებისა და ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს სამუდამო მცველად და დარაჯად ეყოლება ისევ და ისევ ღედა ღვთისა!“

ქადაგება ითქვა 106 წლის წინ! სიტყვა ქვაზე უფრო მაგარია, ქვაზე უფრო გამძლეა. მაგალითად წარმართობის დროინდელი ლექსიც კმარა: „ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი...“

* * *

წერილს ვამთავრებ სადღეგრძელოთი: რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!

გაუმარჯოს მიწის სიყვარულს! გაუმარჯოს ვაზის და ღვინის სიყვარულს! გაუმარჯოს ქალ-ვაჟის სიყვარულს! დიდება ღედა-შვილურ სიყვარულს! გაუმარჯოს მამულის სიყვარულს!

იმას გაუმარჯოს, ვისაც სიზმარშიც ჩაესმის: „ზევახ, სიცოცხლეო ჩემო!“

რევაზ შამათავა, ღვნილი აფხაზეთიდან.

სულთათანა

სანთლები ლიცლიცებენ, ნათია!

1989 წელი. მეოცე საუკუნის უკანასკნელი წლები რუსეთის აგრესიის ყველაზე მტკივნეული წელი საქართველოსთვის...

9 აპრილი... ახალგაზრდების, უიარაღო ხალხის ხოცვა-ჟლეტვის საშინელი დღე. დღე დაუვიწყარი, საზარელი, სისხლიანი, ტკივილიანი...

ტრაგედია, რომელიც იმ დღეს მოხდა, დღემდე დაუვიწყარია... მას შემდეგ 29 წელი გავიდა. საშინელი დღე გარდაცვლილთა ოჯახებისთვის. ასობით გაზით მოწამლულთათვის, რომელთათვის ის დღეები შავ ლაქად, რუსეთის აგრესიის დაუვიწყარ დღედ შემორჩა ქართველთა ცნობიერებაში.

იმ დღეს დაღუპულთა შორის იყო ხობელთა–ხეთელი ლატარიების ოჯახის შთამომავალი ნათია ბაშალეიშვილი. გოგონა, რომელმაც თავისი ბავშვობა ხეთაში, ღედის მშობლებთან, ძმასთან, ძმისშვილებთან და ბიცოლასთან ერთად განვლო...

ღედულეთმა ძალზე განიცადა ნათიას ამბავი. ბევრი ხობელი–ხეთელი იყო ნათიას დაკრძალვაზე. ახლაც, როცა ხეთელი ახალგაზრდები თბილისში ჩადიან, 9 აპრილის მემორიალთან მიდიან, ანთებენ სანთლებს და ნათიას სულს ავედრებენ მაცხოვარს.

9 აპრილს, ტრაგედიის დროს დაღუპული გოგონას მოსაგონრად და სულის საოხად ხეთის ცენტრში გაკეთდა ნათიას სახელობის წყარო. გამვლელ-გამომვლელები მიდიან წყაროსთან და ნათიას იგონებენ, ესათუთებიან მის სახელს. ვინ იცის, ეს პატარა გოგონა ვინ იქნებოდა, რა პროფესიის და როგორ წვლილს დაიდებდა ქვეყნის აღმშენებლობაში.

დიდება შენს სახელს ნათია, დიდება და არ დავიწყება 9 აპრილს დაღუპულებს. თქვენ ხომ წინ აღუდექით აგრესიას, საშინელ ტანკებსა და ტყვიების წვიმას თქვენი სიცოცხლის ფასად, რაც გმირობის ტოლფასია.

თქვენი სული უკვდავებაშია, თქვენი სახელ-გვარები დაუვიწყარია ქართველი ერისთვის.

ნათია, მჯერა, შენ და შენთან ერთად დაღუპულები ღვთის რჩეულები ხართ, დაე, თქვენთვის დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ სასუფეველი.

იცოდე, ყოველ 9 აპრილს ხობელები შენი სახელობის წყაროსთან იკრიბებიან და გინთებენ სანთლებს, გჩუქნიან ლამაზ ყვავილებს და ღმერთს კიდევ ერთხელ შენს სულს ავედრებენ.

შენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები ღღესაც ლიცლიცებენ, ნათია!

ნანი კილასონია

ანრი ჯგერენაიას სახელობის საფეხბურთო ჯერნირი

დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე, ანრი ჯგერენაიას სახელობის საფეხბურთო პირველობის ფინალური მატჩები გაიმართა.

შეჯიბრებაში ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 2004-2005-2006 წლებში დაბადებულ ბიჭუნათა 10 გუნდი მონაწილეობდა.

გამარჯვებული (პირველი ადგილი) ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდი გახდა, მეორე ადგილი შუა ხორგის სკოლამ, ხოლო მესამე ადგილი ჭალადიდის საჯარო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა დაიკავეს.

ღონისძიებას, ანრი ჯგერენაიას ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და მერიის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესო მოთამაშეებად დასახელებულებს და პრიზიორ გუნდებს თასები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

სპორტული პირველობა ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

მადლობა

კიდევ ერთი გადარჩენილი სიცოცხლე

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში მცხოვრებმა 16 წლის ნიკო ბარქაიამ ფეხბურთის თამაშისას მძიმე ტრამვა მიიღო და მუხლი დაიზიანა. მკურნალობის მიუხედავად განვითარდა ელვისებური ოსტრეომიელიტი და ნიკოს სიცოცხლე სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა.

„–3 თებერვალს ქალაქ ზუგდიდიდან რეანომობილით თბილისში ჩამოვიყვანეთ ჩემი 16 წლის შვილი. ბავშვი იმყოფებოდა უმძიმეს მდგომარეობაში. თბილისში ცოცხლად ჩასვლის იმედიც არ გვქონდა, მაგრამ უფალი დაგვეხმარა. ეს გზა მშვიდობიანად გაგვევლო. რეანომობილმა პირდაპირ მ. იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში მიგვიყვანა.

მინდა მადლობა გადავუხადო იმ ექიმების გუნდს რომლებიც ორი თვის განმავლობაში იბრძოდნენ ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად.–გვითხრა ნიკოს დედამ.

ერთ თვის განმავლობაში, ნიკო სიცოცხლეს ებრძოდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან კრიტიკული იყო, გადარჩენის შანსი კი, ძალიან მცირე. მ. იაშვილის სახელობის სამედიცინო კლინიკის პერსონალი ამ დღეების განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა ნიკოს სიცოცხლის გადასარჩენად. დღეს, რომ ჩვენი შვილი მკურნალობას განაგრძობს და ჩვეული ცხოვრების რიტმს უბრუნდება, ეს ამ კლინიკის ექიმთა პროფესიონალი გუნდის დამსახურებაა.

თინათინ ანთაძე

ლევან ფერაძე

რეამინაციის ჯგუფი მარჯვნიდან ზის გია ბიბილაშვილი

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ, კრიტიკული განყოფილების უფროსს, ბატონ გია ბიბილაშვილს და მის არაჩვეულებრივ პერსონალს, ბავშვთა ქირურგებს: **ლევან ფერაძეს, მიხეილ კალატოზიშვილს,** მკურნალ ექიმს – ორთოპედ-ქირურგს **თინათინ (მაცაცო) ანთაძეს, ლევან ხარაშვილს** და **მთელ სამედიცინო პერსონალს**. ამ დღეების განმავლობაში გამოჩენილი სითბოსა და თანაგრძნობისათვის, დაუღალავი თავგანწირვისა და გვერდში დგომისთვის. ექიმების ძალისხმევამ, ბრძოლამ, შემართებამ და პროფესიონალიზმმა გადაარჩინა ჩვენი შვილი და მას ახალი სიცოცხლე აჩუქა.

თამამად უნდა ვთქვათ, რომ მ. იაშვილის ბავშვთა კლინიკა ერთ- ერთი სამედიცინო ცენტრია, რომელსაც უნდა ენდოს ყველა მშობელი, ვისაც სამედიცინო მკურნალობა და დახმარება სჭირდება“.

მშობლები ხათუნა ცინაძე, გოჩა ბარქაია.

დავუბრუნოთ სიტყვა საქართველოს თავისი კუთვნილი ადგილი!

შეცდომაა:	**სწორია:**
ყველა საქართველოს მოქალაქე	საქართველოს ყველა მოქალაქე.
თვითოეული საქართველოს მცხოვრები, მოქალაქე, ადამიანი.	საქართველოში მცხოვრები თვითოეული მოქალაქე, ადამიანი.
ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე,	საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.
ყველა საქართველოში მცხოვრები ადამაინი ან პიროვნება ვალდებულია და ა.შ.	საქართველოში მცხოვრები ყველა ადამაინი ან პიროვნება ვალდებულია და ა.შ.
ბევრი საქართველოს მოქალაქე.	საქართველოს ბევრი მოქალაქე.
მრავალი საქართველოში მცხოვრები ადამაინი ან პიროვნება ან მოქალაქე.	საქართველოში მცხოვრები მრავალი ადამაინი ან პიროვნება ან მოქალაქე.
ნებისმიერი საქართველოს მაცხოვრებელი.	საქართველოს ნებისმიერი მაცხოვრებელი.
შეცდომაა:	**სწორია:**
სუფრაზე ვისხედით და ა.შ.	სუფრასთან ვისხედით და ა.შ.
სუფრაზე ჯდომის დროს.	სუფრასთან ჯდომის დროს.

ზაირა სირაძე, პენსიონერი მასწავლებელი

წინა შიფრვორდის პასუხები

1-ბ	6-ღ	11-კ	16-ტ	21-წ
2-მ	7-ვ	12-ბ	17-ფ	22-ხ
3-ს	8-ე	13-ზ	18-შ	23-ქ
4-ნ	9-რ	14-პ	19-ძ	25-თ
5-ა	10-ი	15-ლ	20-ო	

სპორტი

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ჩატარებული სპორტული შეჯიბრებები

12-15 აპრილს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სპორტკომპლექსში გაიმართა საქართველოს 2018 წლის ჩემპიონატი მოსწავლე-მოკრივეთა შორის, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა წარმატებებს მიაღწიეს: **გიორგი ახალაია** 56 კგ. წონით კატეგორიაში, ხოლო **დემური ქაჯაია** 41,5 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ. **კიკა კალანდიამ** 43 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილი მოიპოვა.

(მწვრთნელები: **ედიკა თოდუა, თემურ აბულაძე**).

* * *



14-15 აპრილს ქ. თბილისში აფხაზეთის ღია პირველობაზე მძლეოსნობაში ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის სასპორტო სკოლის მოსწავლემ **ლუკა გულუამ** 100მ. რბენში I ადგილი, ხოლო 300 მ. რბენში II ადგილი დაიკავა. (მწვრთნელი **ინდირა გრიგორიანცი**).

* * *

ქ. ბოლნისში 1989 წლის 9 აპრილს თბილისში და 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი XXII საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში ჩატარდა. აღნიშნულ ტურნირზე ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს:

ირაკლი ლეფსაია–81 კგ.წონითი კატეგორია (ვერცხლი); **ბაჩუკი ჩაჩიბაია**–55 კგ წონითი კატეგორია (ვერცხლი); **დათო შვანგირაძე**–38 კგ. წონითი კატეგორია (ბრინჯაო); **საბა სიჭინავა**–29 კგ. წონითი კატეგორია (ბრინჯაო). (მწვრთნელი **რომან მორგოშია**).

* * *



ქ. სენაკში ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში. 8-18 წლამდელებს შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეებმა:

ნიკა ბუკიამ 12 წლიანებში 1-2 საპრიზო ადგილი ფოთელ კახა კიზირიასთან გაიყო. ხოლო 18 წლიანებში **გიორგი ლატარიამ** მე-2 ადგილი დაიკავა. (მწვრთნელი **მამუკა გეთია**).

ინფორმაციები მოგვაწოდა ნაირა ბერაიამ.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.